ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6560969

ნომერი: AR1973144

თარიღი : 19.06.2023

გაცემის თარიღი : 14.07.2023

გაცნობის თარიღი : 31.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოთუა , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა სურმავა პ/ნ 62001011724
- სოხუმი კვარაცხელიას ქ. N 10 ბ. 41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 19/06/2023 წლის AR1973144 განცხადებით მომართა მოქალაქე კობა სურმავამ და მოითხოვა სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ობიექტის ფუნქციასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით, ქალაქი თბილისი, ქალაქი თბილისი , ქუჩა გოთუა , N 7-ში (ს/კ: 01.10.13.003.041; ჯამური ფართობით: 4987.00 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (საცხოვრებელი 25% ; კომერციული 75%) აშენების მიზნით, დამტკიცდა

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2022 წლის 22 დეკემბრის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #ბ01.01223564-ით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ს/კ: 01.10.13.003.041 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციების 10% / 90%-ზე გადანაწილებით. აღნიშნულ მერის ბრძანებაში შევიდა ცვლილება 2023 წლის 24 მაისს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბ01. 01231448ბრძანებით და ს/კ: 01.10.13.003.041 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლისთვის, საცხოვრებელი ფუნქციით არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 77%-ის განთავსებით.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საპროექტო ობიექტად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ

1.1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებას შენიშვნის სახით დაემატოს:
1.1. მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.
1.2 პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მიმდებარე გარემო, შენობა-ნაგებობების სართულიანობა და მოცულობა, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცეები და სხვა.).
1.3 მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 დეკემბრის ბ01. 01223564 ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალსიწინებული დოკუმენტაცია.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.